PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №2

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრები:
იაზონ დანელია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი
ინგა ბოჭოიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N502093 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, 2020 წლის 9 ივლისს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრში გადმოგზავნილ მასალაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით 2020 წლის 16 ივნისს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეგზავნა ხარვეზის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №475712), ხოლო მიმდინარე წლის 18 ივნისს დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა კორესპონდენცია ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით (ცენტრში რეგისტრაციის №486748). შესაბამისად ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ხარვეზის გამოსწორების შემდგომ წარმოდგენილი მასალა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა დაგეგმილი ვიზიტი. ექსპერტები ადგილზე გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა განიხილეს ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ შესაბამის პასუხისმგებელ პირს, დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეამოწმეს პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმი და გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს, სადაც იგეგმება პროგრამის განხორციელება.

ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება, ხოლო ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ ზუგდიდში, სადაც ასევე ხორციელდება აკადემიური პროგრამები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, პროფესიული პროგრამებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი (A, B და C გარემო) არის მხოლოდ პროფესიული პროგრამებისათვის და ადგილი არ აქვს გადაფარვას აკადემიურ პროგრამებთან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, თუმცა მათი დატვირთვების გადამოწმებისას არ დასტურდება პროფესიული პროგრამის განხორციელების რისკი. შესაბამისად, უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულებას აქვს კომუნიკაცია კორპორაცია Red hat თან, რაც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლონ რედჰეთის სასწავლო რესურსით, მიიღონ მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის განათლება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების სფეროში.

პროფესიული საგანმანათლებლო სტუდენტებისთვის შემუშავებულია „სტუდენტთა ფინანსური დახმარების წესი“ დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 20/04/2018 და რომელშიც გაწერილია უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლად სტუდენტზე ფინანსური და სხვა დახმარების გაცემის წესი. დაწესებულებაში არსებობს Fortinet -ის ქსელური უსაფრთხოების აკადემია და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მისი სასწავლო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- **რეკომენდაცია N1 – სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში;**

<u>შესრულების შეფასება:</u> შეტანილ იქნა ცვლილება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი N24–ის პუნქტი 24–ში, კერძოდ, სასწავლო გეგმაში შემუშავებულია მოდულების შესაბამისად, წინაპირობების დაცვით სასწავლო პროცესის განსახორციელებელ ეტაპებად. ეტაპებს შორის გათვალისწინებულია დამატებითი ვადები. დამატებითი ვადა ნიშნავს მოდულების დასრულების შემდეგ მომდევნო ეტაპის დაწყებამდე გამოყოფილ პერიოდს განმეორებითი შეფასებისთვის (ერთი კვირა), რაც ითვალისწინებს: ა) პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განმსაზღვრელი სწავლის შედეგების დამატებითი მიღწევის შესაძლებლობას დამატებით ვადაში 1–ჯერ; ბ) მოდულის დასრულებას კალენდარული გეგმის შესაბამისად, საანგარიშო კვირაში ოფიციალური უქმე დღეების ან სხვა მიზეზის გამო სასწავლო პროცესის შეფერხების შემთხვევაში.

- **რეკომენდაცია N2 – შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.**

<u>შესრულების შეფასება:</u> შეტანილ იქნა ცვლილება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მუხლი N24–ის პუნქტი 12 და 13–ში, კერძოდ, წინამდებარე დებულების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული განცხადების ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით ან/და სხვა ალტერნატიული წყაროთი. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან ერთი კვირის განმავლობაში. ინფორმირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტრონული ფოსტა, მესენჯერი, სმს, შესაფერისი პლატფორმა და სხვა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

- **შესაბამისობის რეკომენდაცია**

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

რეკომენდირებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკული–ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორებიცაა მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული მასწავლებლების და განსაკუთრებით ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების შემდგომ გადამზადებასთან დაკავშირებით, ჩვენი შეფასებით ისინი საჭიროებენ განვითარებას ამ კუთხით.

- განვითარების რეკომენდაცია

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მათ მიერ გავლილი ტრენინგებისა იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრირებული მოდულები სიახლეა პროფესიულ განათლებაში და მათ ბოლომდე არ აქვთ გათვითცნობიერებული მოდულების სპეციფიკა, ისინი საჭიროებენ დამატებით ინტენსიურ მუშაობას, როგორც მეთოდური ასევე შეფასების კუთხით, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11.06.2020 წ - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს - № 34 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

როგორც გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ირკვევა, უნივერსიტეტმა დამსაქმებელთა ასოციაციასთან ერთად ჩაატარა ბაზრის კვლევა, რომელიც მიმართული იყო რეგიონის საჭიროებების დასადგენად. შესაბამისად აკადემიური საბჭო დაეყრდნო ჩატარებული კვლევის შედეგებს და უნივერსიტეტის 2018 წლის 20 დეკემბრის აკადემიური საბჭოს №58 (ოქმი #28) დადგენილებით „პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამატების მიზანშეწონილად ჩათვლის შესახებ“ განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები/დარგები და სხვა 19 პროგრამასთან ერთად დაადგინა პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების მიზანშეწონილობაც. აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა ასევე დადგენილება №59- 20.12.2018წ. ,,სამწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანისა და პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასამატებლად განსახორციელებელი აქტივობების შესახებ“. სსუ-ს აკადემიურმა საბჭომ ასახა გადაწყვეტილება ,,პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ” 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში ვკითხულობთ, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება რა დეკლარირებულ პრინციპებსა და მართვის მნიშვნელოვან გამოცდილებას, იზიარებს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და მზად არის შექმნას საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ყოველწლიურად მიაწოდებს შრომის ბაზარს კვალიფიციურ კურსდამთავრებულებს უმაღლესი და პროფესიული განათლებით, იზრუნებს მათი პროფესიონალური და პიროვნული განვითარებისთვის, რათა მათ ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში და ღირებული წვლილი შეიტანონ ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარებაში. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია როგორც აკადემიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხობრივი განვითარება, ხოლო სამწლიანი სამოქმედო გეგმით დაგეგმილია შესასრულებელი აქტივობები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დაგეგმილია:

- ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური/დუალური) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ჩარჩო -დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული ახალი მოდულური /დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დამატება /ავტორიზაცია / დანერგვა შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე;
- პროფესიული სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული არსებული საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივიდან მოდულურზე გადაყვანა

ყოველივე ზემოხსენებული გამომდინარეობს და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და დასაქმების გარემო, დასაქმებაზე, სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროექტები, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრის, საზოგადოების აქტიური წევრის, მომზადება /გადამზადება/მოზიდვა;
- ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, მუდმივად უზრუნველყოს ხარისხი, შექმნას ეფექტური, მოქნილი და სწრაფად განვითარებადი სასწავლებელი, რომელიც შეძლებს დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფოს განვითარებასა და კეთილდღეობაზე. გახდეს განათლების სფეროში რეგიონული ცენტრი.

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' განხორციელებას გეგმავს არაინტეგრირებული და ინტეგრირებული მიდგომით. გადაწყვეტილება ინტეგრირებული მიდგომით სწავლების შესახებ მიღებულია აპლიკანტების გამოკითხვის შედეგად და მათი სურვილით ისარგებლონ უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობით, რომლის მიზანიცაა საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისათვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების დაუფლების ხელშეწყობა. გამოკითხვა ტარდებოდა ზუგდიდის რესურსცენტრის და სკოლის დირექტორების დახმარებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო საბაზო განათლება მოთხოვნილია იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (თავი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება), რომელიც დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის №33 დადგენილებით და ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

3. **საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა /ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც შემუშავებულია 16.04.2018 წლის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №21 და დამტკიცებულია 20.04.2018 წლის წარმომადგენლობითი საბჭოს №14 დადგენილებით. დოკუმენტით რეგულირდება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა. შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამისთვის სტუდენტთა ოდენობის დადგენის დროს დაწესებულებამ გაითვალისწინა პროგრამის სპეციფიკა, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი, პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგანმანათლებლო რესურსი, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის გამოთვლა, განხორციელდა ინტეგრირებულისთვის და არაინტეგრირებულისთვის ერთი კვოტის ფარგლებში და არსებული მეთოლოგიის გათვალისწინებით განისაზღვრა პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული ოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე, რამაც შეადგინა 60, მათ შორის 30 სრული ზოგადი განათლების მქონე სტუდენტისათვის (ორ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით 15+15), და ასევე 30 პროფესიული სტუდენტი საბაზო განთლებით (ორ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით 15+15). სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. აქვე უნდა აღინიშნოს , რო თვითშეფასების განაცხადში გაპარულია ტექნიკური შეცდომა და ზღვრული რაოდენობის გრაფაში მითითებულია 80.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც ზოგადი მოდულებისთვის და პროფესიული მოდულებისათვის არაინტეგრირებული მიდგომით, ასევე ზოგადი მოდულებისთვის და ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათის ინტეგრირებული მიდგომით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამა დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 11 ივნისის 2020 წლის №34 დადგენილებით,

აკადემიურ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება უნივერსიტეტის წესდების მერვე მუხლის ბ. პუნქტით და აკადემიური საბჭოს დებულებით (დამტკიცებულია 11.01.2019 წ.) არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის დამტკიცებული.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ,,საინფორმაციო ტექნოლოგიის კონცენტრაციის დასახელებას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

8. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოდგენილი პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამის შემუშავების საფუძველია, ერთის მხრივ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 13 ოქტომბრის № 656 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology, რომელშიც ცვლილება შევიდა 2019 წლის 25 სექტემბრის № 882/ი ბრძანებით - და მეორეს მხრივ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის № 4 დადგენილებით.

აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ორ სასწავლო გეგმას - არინტეგრირებულ და ინტეგრირებულ სასწავლო მიმართულებისთვის. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმა გაწერილია 3 სასწავლო წელზე. ინტეგრირებული მიდგომის შემთხვევაში დაცულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების შესახებ“ მოთხოვნები. პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი ,,პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესის“, შესაბამისად (აკადემიური საბჭოს დადგენილება N04; 18.01.2020 წ. მოდიფიცირებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/წესი“).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოგვიდგინა აკადემიური საბჭოს დადგენილება N38; 20.07.2020წ., რომლის თანახმადაც ცვლილებაა შეტანილი საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კერძოდ პროგრამას დაემატა გამორჩენილი ბრძანების რეკვიზიტები.

კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ არის 30 საათზე ნაკლები (მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით კვირეული დატვირთვა შეიძლება იყოს 30 ნაკლები) და არ აღემატება 40 საათს.

აკადემიურ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება უნივერსიტეტის წესდების მერვე მუხლის ბ. პუნქტით და აკადემიური საბჭოს დებულებით (დამტკიცებულია 11.01.2019 წ.) არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის დამტკიცებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №58 დადგენილებით ,,პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამატების მიზანშეწონილად ჩათვლის შესახებ“;
- დადგენილებით №59 - ,,სამწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანისა და პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასამატებლად გასახორციელებელი აქტივობების გეგმაში ასახვის შესახებ“;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის 2018 წლის 20 დეკემბრის #28 ოქმით;
- „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 11 ივნისის N 34 დადგენილებით დამტკიცებული ,,ლომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო კვალიფიკაციის (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N 04 დადგენილებით მოდიფიცირებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიუ ლი მომზადების პროგრამის/პროფესიუ ლი გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/წესით;
- ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრულ ი ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- შესყიდვის დოკუმენტაციით და აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებით;
- 2020 წლის 22 ივნისის N38 დადგენილებით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფოსასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცვლილებებით დამტკიცებისა და აღნიშნული პროგრამების განხორციელების შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეუსაბამობის გეგმების დამტკიცების შესახებ;

- ,,აკადემიური საბჭოს დებულებით“;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება როგორც უნივერსიტეტის, ასევე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 60 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 30 ინტეგრირებული მიმართულებისთვის.

პროგრამის განხორციელების ადგილია: ზუგდიდი-ჯანაშიას ქ.№14 - აუდიტორია №213 (A,B გარემო, მეოთხე საფეხურის მოდულების განხორციელებისთვის), 24 სამუშაო ადგილით + 1 პროფესიული მასწავლებლისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, 2 კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი, 1 Epson -ის მოდელის პროექტორი., 1 სკანერი, 1 დაფა, 1 ლეპტოპი პროფესიული მასწავლებლისთვის.

აუდიტორია № 217 (A, B გარემო) აუდიტორია განკუთვნილია ინტეგრირებული პროგრამისთვის.აუდიტორიაში განთავსებულია 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი და 1 მრავალფუნქციური პრინტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აუდიტორია №226 (A, B გარემო). აუდიტორია განთავსებულია მეორე სართულზე და აღჭურვილია 15 კომპიუტერით პროფესიული სტუდენტისთვის და 1 ლეპტოპი პროფესიული მასწავლებლისთვის. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც ადგილზე დათვალიერებით დასტურდება.

საშუალო განათლების ინტეგრირებული მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ გამოყოფილია აუდიტორია №109, <u>რომელშიც განთავსებულია 24 მაგიდა და სკამი, ასევე მოდულით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება ფლობის დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ აუდიტორიაში უნდა ჩატარდეს პრაქტიკული სამუშაოები ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, აუცილებელია აღნიშნული გარემოს სრულად ადაპტირება ლაბორატორიული სამუშაოებისათვის.</u>

<u>რეკომენდირებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკული–ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორებიცაა მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი.</u>

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 4 სხვადასხვა ორგანიზაციასთან. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის რეალიზებისათვის არის გაფორმებული მემორანდუმი შპს „სქაიტელი“-სთან (N1/03, 08/06/2020წ). მემორანდუმით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები. შპს „სკაიტელი“ იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოს 20 პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სწავლება ერთ ჯერზე. აღნიშნულ პრაქტიკის ბაზაზე იგეგმება ორი მოდულის განხორციელება – გაცნობითი პრაქტიკა/პრაქტიკული პროექტი. მემორანდუმის ვადა განისაზღვრება 6 წლით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 60, (ერთ მიღებაზე გამოსაცხადებელი სტუდენტთა რაოდენობა მაქსიმუმ 15) პერსონალის რაოდენობა , ინტეგრირებულის შემთხვევაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 20, პროგრამის განმახორციელებელი არის 9.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული მასწავლებელი. თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა განისაზღვრება დაწესებულების მიერ შემუშავებული ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, რომლის თანახმადაც, სასწავლო უნივერსიტეტში ადამიანური რესურსი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 20 პროფესიულ სტუდენტზე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების ერთი მასწავლებელით/ინსტრუქტორით“ განისაზღვრება (შემუშავებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით №21; 16.04.2018 წ. და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით №14; 20.04.2018წ. მუხლი 5, პუნქტი 2 - ბ“).

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, რომლებიც ექსპერტების მიერ გადამოწმდა ვიზიტის ფარგლებში. კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის შემთხვევაში, როგორიცაა ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება და სხვა პროგრამის განხორციელების მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება. მდგრადობას. სულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 60.

<u>პროგრამის განმახორციელებლებთან წინარე ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელი მოდულის განხორციელებისთვის იწვევენ ამა თუ იმ პირს. ხელშეკრულებაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მოდულები“; სავალდებულო/პროფესიული მოდულების პოზიციაზე და ა.შ. სასურველია – თუ წინარე ხელშეკრულებებშიც გაიწერება კონკრეტულად რომელი მოდულის განსახორციელებლად იწვევს დაწესებულება ამა თუ იმ პირს;</u>

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტების გაცნობისას გაირკვა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ პროგრამაში შემავალი მოდულის შესაბამისი როგორც პედაგოგიური/თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების კომპეტენცია და კვალიფიკაცია, რაც დადასტურდა პირადი საქმეებით და მასში არსებული სერთიფიკატებითა და დიპლომებით.

პროგრამის პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ შინაარსთან და ამავდროულად აქვთ სწავლების გამოცდილება. მათ წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა სერტიფიკატი, რაც მათი მხრიდან მუდმივი განვითარების სურვილზე მეტყველებს. ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირები შერჩეულნი არიან დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული კონკურსის წესით და ყველა მათგანს გავლილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგ-კურსები. პროგრამისთვის განსაზღვრულ <u>პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მათ მიერ გავლილი ტრენინგებისა ისინი საჭიროებენ დამატებით ინტენსიურ მუშაობას, როგორც მეთოდური ასევე შეფასების კუთხით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერება და ტექნოლოგიების მასწავლებლებისთვის პრაქტიკული ტრენინგების ჩატარება, სადაც აქცენტი იქნება გაკეთებული ახალი აღჭურვილობის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე და მათ გამოყენებაზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე და მათი განხორციელების მეთოდებზე. მნიშვნელოვანია, პედაგოგს გააზრებული ჰქონდეს ძირითად სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა.</u>

<u>ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული მასწავლებლების და განსაკუთრებით ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების შემდგომ გადამზადებასთან დაკავშირებით, ჩვენი შეფასებით ისინი საჭიროებენ განვითარებას ამ კუთხით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულების რექტორის ბრძანებების -,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმძღვანელების განსაზღვრის შესახებ“ (№01-02/47; 15.05.2018 წ.) და „პროგრამის ხელმძღვანელებისთვის დამატებითი დავალებების გაცემის შესახებ“ (№01-02/138; 03.09.2018 წ.) - თანახმად, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი (რექტორის ბრძანება N01–01/10, 07.02. 2020წ.), რაც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში პირადი საქმის გაცნობისა და ინტერვიუს შედეგებით. იგი არის დარგის სპეციალისტი და პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც უდასტურდება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია, არის Ciscos CCNA საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი და მოპოვებული აქვს IT essential ინსტრუქტირის სერტიფიკატი.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული (CD დისკზე ჩაწერილი), ისე მატერიალური სახით. ბიბლიოთეკას გააჩნია მუდმივად განახლებადი ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა. სასწავლო აუდიტორიაში/სამკითხველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში ელექტრონულად ჩატვირთულია საგანმანათლებლო რესურსების ელ.ვერსიები ოპტიკურ დისკდამგროვებლებზე და დისკების კატალოგი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო რესურსის დათვალიერება, რომელიც განთავსებულია N 218 და N219 ოთახში, სამკითხველო დარბაზი – N 221 ოთახში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საგანმანათლებლო რესურსით - 1 კომბაინი, 1 პრინტერი, 14 კომპიუტერი სტუდენტისთვის და 3 ბიბლიოთეკარისთვის. საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული/რეგისტრირებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი (6903 ერთეული) და cd დისკი (1020 ერთეული), დაწესებულების საიტზე - www.zssu.ge განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი (openbiblio), სადაც შესაძლებელია ელექტრონული სასწავლო რესურსის მოძიება. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სასწავლო უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად და მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ადაპტირებული სსსმ/სშმ პირებისთვის ლიფტი. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ასისტენტი (რექტორის ბრძანება №01-02/17; 28.02.2020 წ. და №01-02/15; 22.02.2020 წ.).

დაწესებულების რექტორის ბრძანებით (01-04/164; 04.11.2019 წ. ,,პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებებზე პროფესიული სტუდენტების დაშვებისა და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედგენის შესახებ“) დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით. ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. პერიოდულად ხორციელდება მოდულის მოდიფიცირება.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგარადობა უზრუნველყოფილია ფინასური რესურსით, რომელსაც განაპირობებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსება სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. ბიუჯეტის გამოთვლის შედეგად რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით.

დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან და მისი მთავარი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას (ხელშეკრულებით გათვალისწინებული), პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- აკადემიური საბჭოს დადგენილებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცების შესახებ“ - №34; 11.06.2020წ.; ცვლილება №38; 22.06.2020 წ.
- ,,სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა სტუდენტის კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“ - აკადემიური საბჭოს დადგენილება №21; 20.04.2018წ.;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N 04 დადგენილებით მოდიფიცირებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგიით;
- სასწავლო უნუვერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესახებ - №14; 20.04.2018 წ.;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით/ ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ;
- ადამიანურ რესურსთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 15 მაისის 01-02/47 ბრძანებით პროფესიულ პროგრამებზე ხელმძღვანელების განსაზღვრის შესახებ;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 01 ივნისის N01-02/50 ბრძანებით ,,ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მოწვევის შესახებ“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წლიური ბიუჯეტით;
- პროგრამის დანართით № 3 (პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი);
- მემორანდუმით შპს „სქაიტელი“-სთან (N1/03, 08/06/2020
- რექტორის ბრძანებით - №01-04/164; 04.11.2019 წ. ,,პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებებზე პროფესიული სტუდენტების დაშვებისა და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ“;
- სსუ-ს ვებ-გვერდით - www.zssu.ge;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით, ანგარიშფაქტურებით;
- ინტერვიუს შედეგებით;
- პროფ. განათლ. მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ინტერვიუირების შედეგებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #4, 2020 წლის 18 იანვარი), რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესს (მუხლი #9). პროგრამის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხორციელდება გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფებით და ინტერვიურების გზით. შეფასების კრიტერიუმები და კითხვარი შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. კითხვარი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთვრებულების კმაყოფილების და შრომის ბაზრის კვლევას. ჩატარებული კვლევის ანალიზი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და რეაგირებისთვის წარუდგენს უფლებამოსილ პირს. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინაციით - პროფესიული პროგრამების მასწავლებლებთან თანამშრომლობით ხორციელდება ცვლილებები პროგრამაში და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

დაწესებულებას ასევე აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის № 25 დადგენილება). უნივერსიტეტი პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე ატარებს შიდა და გარე კვლევებს. კვლევებით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება. საჭიროების შემთხვევაში კვლევების ჩატარების მიზნით (შრომის ბაზრის კვლევა) შესაძლებელია მოხდეს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სხვა ორგანიზაციის ან პირების დაქირავება (მკვლევარი/კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია). კვლევების პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არსებული რეგულაციების მოქმედების მექანიზმები გადამოწმდა, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროფესიულის მასწავლებლებთან.

უნივერსიტეტმა განახორციელა სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა. გამოიკითხა 10 ინტერნეტ-პროვაიდერი. დასაქმებულთა რაოდენობა თითოულ ორგანიზაციაში 5-10 ადამიანი. კვლევის ჩატარებისას გამოყენებული იქნა ონლაინ-კითხვარი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომელიც მოიცავდა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის შეკითხვებს. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს კვალიფიციური კადრების აუცილებლობას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

უნივერსიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №4, 2020 წლის 18 იანვარი), ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირებას (მუხლი 6). პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე. ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს. ცვლილებების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება სასწავლო აკადემიური საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული იქნა ჩარჩო დოკუმენტში ცვლილება. (MES 3 20 0000575658, 07.07.2020). კერძოდ, 1. ,,ინფორმაციული ტექნოლოგის" ჩარჩო დოკუმენტში (სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ) მე-7 თავის (სტრუქტურა და მოდულები) კომპიუტერული ქსელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასისტემების №11 პროფესიული მოდულის დასახელებად წარმოდგენილია ,, ბაზისური კომუნიკაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში", ხოლო ჩარჩო დოკუმენტის დანართად წარმოდგენილია მოდული ,,ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში" დასახელებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №4, 2020 წლის 18 იანვარი);
- პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის № 25 დადგენილება);
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლება „სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლის ანგარიში“;
- გამოკითხვის კითხვარები;
- პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამის განხორციელებას დაწესებულება გეგმავს მოდულური მიდგომით სრული ზოგადი განათლების მქონე აპლიკანტებისათვის და ინტეგრირებული მიდგომით საბაზო განათლების მქონე აპლიკანტებისათვის. ორივე გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობასას მასწავლებელი აწარმოებს პორთფოლიოს, რომელშიც მოთავსებულია მოდული, კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო მასალა და სტუდენტთა განმავითარებელი შეფასებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განსახორციელებლად შედგენილ სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა, საგამოცდო ორკვირიანი შუალედი. ინტეგრირებული მიდგომით სწავლება იგეგმება 3 წელი, სულ102 კვირა, ხოლო არაინტეგრირებული მიდგომით პროგრამა მოიცავს 62 კვირას.

2. **დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, რაც გამოიხატება სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების კვლევებში. ამ მიზნით უნივერსიტეტი ატარებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას და ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით რეაგირებს მათ ინტერესებზე და საჭიროებებზე.

სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ორ ცვლაში. პროგრამაზე წელიწადში საშემოდგომო მიღება ცხადდება ერთხელ. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო.

დაწესებულების ვებგვერდზე http://www.zssu.ge განთავსებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე–17 მუხლში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. წესი დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 11 ივნისის, №33 დადგენილებით. წარმოდგენილი წესის თანახმად - სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის შემდგომ განათლებას, გადაყვანას ამავე სასწავლო უნივერსიტეტში სხვა ან მომიჯნავე პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშეა ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ამ წესისდან გამომდინარე პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.“

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროგრამა, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განხორციელდება ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით და ინტეგრირებული მოდულებით. როგორც პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის შედეგად დადგინდა, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის და პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ, უტარდებათ ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება შესაბამისი აქტებით (მივლინების შესახებ ბრძანებები) და დასწრების ფურცლებით.ტრენინგების თემატიკა მოიცავს სწავლებისა და შეფასების საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკის, შესაბამისი კაბინეტებისა და აუდიტორიების დათვალიერების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ თავისუფალი წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენებენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს და პროფესიულ სტუდენტებს დამატებით მიაწვდიან ჰენდაუთებს სასწავლო მასალის უკეთ ასათვისებლად.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს ექსპერტთა გუნდის შეფასების დასკვნის შესაბამისად.

5. **დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, თუმცა პროგრამის გათვალისწინებული მოდულის/მოდულების შედეგების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება შესაძლებელია ასევე სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო არაინტეგრირებული და ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის უცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით, სადაც შექმნილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. სასწავლო უნივერსიტეტი საქმიანობის განხორციელების მიზნით შესაბამისობაშია ჯანდაცვის ორგანიზაციით დადგენილ სტანდარტებთაან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგიით;
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N 14 დადგენილებით დამტკიცებული,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 17 იანვრის 01-01/02 ბრძანებით ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პასიუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების, მართვის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“;
- სასწავლო გეგმებით;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა. შემუშავებულია ასევე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შეფასება ხორციელდება დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტების ფორმების შესაბამისად. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოცემულია შესაბამის მოდულებში, სწავლის ყველა შედეგის მიღწევა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება სამი სამუშაო დღის ვადაში, მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან 1 თვე, ხოლო შემდგომ ნადგურდება პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ და ა.შ.

იმ მიზნით, რომ პროფესიული სტუდენტები სრულად იყვნენ ინფორმირებული შეფასების პროცედურებით, უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთულია პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების პროცედურა და მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულურ/დუალური) პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების თავისებურებები, რაც სრულ შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ამ სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 26-ე მუხლით განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი. დოკუმენტის თანახმად: მოდულის განმახორციელებლი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვერიფიკაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსა და შეფასების მიმართულებებთან. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოდულის/მოდულების განმახორციელებელ პირებს; პროგრამის ხელმძღვანელს ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება ეკისრება რექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, რომელშიც გაწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის სპეციალისტის მიერ ხელმოწერილ/ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტს შერჩევითობის პრინციპით პერიოდულად ამოწმებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტზე ხელმოწერით. საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი აძლევს მოდულის განმახორციელებელს შესაბამის რეკომენდაციებს/შენიშვნებს.

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 თებერვლის №18 დადგენილებით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების, კითხვარების, მტკიცებულების, საკონტაქტო საათებზე დასწრების ახალი ფორმები, რომელთა გამოყენებაც ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. წესის თანახმად 3 წლის შემდეგ მთელი დოკუმენტაცია ნადგურდება და ფორმდება შესაბამისი ოქმი. მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს /სურვილისამებრ პროფესიულ სტუდენტს; შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. პროფესიული სტუდენტის მოდულების შედეგების მიღწევის შესახებ უწყისები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მინიჭებამდე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭებიდან- უნივერსიტეტის არქივში მუდმივად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ ისინი იცნობენ შეფასების პროცედურებს და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 იანვრის №01 დადგენილებით დამტკიცებული ,,მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგიით“;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 17 იანვრის 01 01/02 ბრძანებით ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების, მართვის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დავალებების გაცემის შესახებ“;
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 18 იანვრის N 04 დადგენილებით მოდიფიცირებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების, პროგრამის/პროფესიული გადამზადების /მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

24.07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: